ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №89

14 მარტი 2025 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ლევან არველაძე,
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, თამარ ჩახვაშვილი,ნინო ვარდოსანიძე, რავაზ სოხაძე, მიხეილ კაკაურიძე.
მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი - ლევან მიქავა
სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან არველაძე
სხდომის თვამჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი.

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების, შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ.
(**№11-01250702552 საკრ.№15-032507057-03 11/03/2025)**
(**№11-01250721376 საკრ.№15-032507229-03 13/03/2025)**
(**№11-01250723373 საკრ.№15-032507255-03 13/03/2025)**
დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: .ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების, შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

ლევან მიქავას მოხსენებით, იზრდება „გზების მოვლა შეკეთება საბურთალოს რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 13) პირველი კვარტლის გეგმა- 220 000 ლარით.
„გზების მოვლა შეკეთება კრწანისის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 16) პირველი კვარტლის გეგმა- 69 000 ლარით.
„დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია დიდუბის რაიონში“(პროგ/კოდი 06 02 16 09) -პირველი კვარტლის გეგმა-42100 ლარით.
„გ ზების მოვლა შეკეთება კრწანისის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 16) -150 000 ლარით.
„კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში“(პროგ/კოდი 02 09 11) (პროგ/კოდი 02 09 11)- 304180 ლარით.
დაგეგმილთან შედარებით მეტი რაოდენობის ბენეფიციარების დაფიქსირებით, ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ცვლილებით გამოწვეული საჭიროებიდან გამომდინარე იზრდება შემდეგი პროგრამების პირველი კვარტლის ასიგნებები:
„გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება“ (პროგ/კოდი 06 01 05) – 388500 ლარით.
„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია“ (პროგ/კოდი 06 01 06)- 11 000 ლარით.

„ტრანსპლანტაცია“ (პროგ/კოდი 06 01 13)- 58 000 ლარით.
„კომუნალური სუბსიდირება“ (პროგ/კოდი 06 02 01)- 44 000 ლარით.
„სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება“- (პროგ/კოდი 06 02 02)- 150 000 ლარით.
„სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება“ (პროგ/კოდი 06 02 08)- 508 000 ლარით.
სარეზერვო ფონდი (პროგ/კოდი 10 22)- 300 000 ლარით.
მცირდება „კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 14) პირველი კვარტლის გეგმა- 2 300 000 ლარით.
„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში“ (პროგ/კოდი 05 01 12) პირველი კვარტლის გეგმა- 1 363 000 ლარით. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში სკვერების კაპიტალური მოწყობის ღონისძიებაში სამუშაოების შინაარსიდან გამომდინარე მოსალოდნელია, მოსალოდნელია დაგეგმილი სამუშაოების შესრულება მესამე და მეოთხე კვარტალში, რისთვისაც მესამე და მეოთხე კვარტალში დამატებით ესაჭიროებათ 2 300 000 (ორი მილიონ სამასი ათასი) ლარი, ხოლო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი: 05 01 12) მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული მუხლში, ასევე სამუშაოების შინაარსიდან გამომდინარე, მოსალოდნელია დაგეგმილი სამუშაოების შესრულება მეორე, მესამე და მეოთხე კვარტალში, რისთვისაც მეორე, მესამე და მეოთხე კვარტალში დამატებით სჭირდებათ 1 363 000 (მილიონ სამას სამოცდასამი ათასი
„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში“(პროგ/კოდი 05 01 08) -პირველი კვარტლის გეგმა- 150 000 ლარით
საერთო ჯამში გადასახდელების პირველი კვარტლის გეგმა მცირდება 1346312 ლარით. დაბალანსება ხდება კაპიტალური სპეციალური ტრასფერის პირველი კვრატლის 220 000 ლარიღ ზრდით და ნაშთის 1 566312 ლარით შემცირებით.
მომხრე-7 წინააღმდეგი -0 თავი შეიკავა-0

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების შემოსავლების კვარტალური გადანაწილების და ნაშთის ცვლილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური და რაიონული გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ლევან არველაძე**